

„სანდომი“ სანდო ხარისხი



„სახლი თავზე გვემცოდა, სამუშაო ვერ ვიშოვებ“



ალიონი. წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელს ესტუმრობთ, ზოგს ორ-სამჯერაც. სოციალურად დაუცველი რამდენიმე ოჯახს გვინახავს, მაგრამ ის, რაც სოფელ ასკანაში ვნახეთ, აზინისა და აფრიკის უღარიბეს ქვეყნებზე მომზადებულ დოკუმენტურ ფილმებში თუ შეხვდებით. 38 წლის ვია (გერასიმე) მელუას ფაქტიურად სახლ-კარი არ გააჩნია. როგორც ადგილობრივმა გვითხრეს, ვიას ბაბუა გერასიმე მელუა კოლმეურნე იყო

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი ბაზოლის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 5 (10342) 3 თებერვალი, 2020 წ. შასი 60 თეთრი.

კონკურსში, „სუფთა რეგიონი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი დაჯილდოვდა



ალიონი. 27 იანვარს, თბილისის საკრებულოში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს ორგანიზებითა და თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, კონკურსის „სუფთა რეგიონი“ გამარჯვებულების დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ნომინაციაში, „ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებაში შეტანილი წვლილისთვის“ სივლით დაჯილდოვდა. ვიდეო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ვია მამაკაიშვილს გადაეცა, რომელმაც ოზურგეთში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და მისი სფერო-გაციის მმართველობით ახალ მოდელზე გადასვლის შესახებ ისაუბრა. აღნიშნული კონკურსი გასულ წელს გამოცხადდა. კონკურსის იდეა პირველად გაჩნდა 2015 წელს „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანიის ფარგლებში. კონკურსის ფარგლებში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები), შემოსული მასალების საფუძველზე გამოავლინა 2019 წლის ნომინაციების გამარჯვებულები. კონკურსი ჩატარდა პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ (KGT), საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობის ფარგლებში, შედეგების მთავრობის მხარდაჭერით.

მთისპირელები „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ მიერ გადაკეთებულ ხიდის გახსნას ითხოვენ

ალიონი. მთისპირელები „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ მიერ მდინარე ბახვისწყალზე, ციხისუბანის კარიერზე მისასვლელი ხიდის გადაკეთვას აპროტესტებენ. ფრანგულმა კომპანიამ „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“, ბერძნული კომპანია „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანიის-აგან“ შეისყიდა საწარმო, 2018 წლის თებერვალში მდინარე ბახვისწყალზე ერთადერთი ხიდი ბენტონის კუბიკებით გადაკეთდა, რომელიც სოფელ მთისპირს ციხისუბანთან აკავშირებს, ხოლო გასული წლის ბოლოს დაცვის სამსახური დააყენა - ამის შესახებ მთისპირელებმა გასულ სამშაბათს სოფლის მოსახლეობის კრებაზე განაცხადეს, სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საპროექტო წინადადებებს განიხილავდნენ. როგორც მთისპირელებმა ამირან კვარაცხელიამ განაცხადა, 20 წელი არაფერი გაუკეთებია ბერძნულ კომპანიას, უმძიმეს მდგომარეობაში მოაქცია კარიერი, სალიცენზიო ვადა რომ გავიდა, ახლა კი ფრანგულმა კომპანიამ ხიდი ჩაკეტა და ქართულ კომპანიას საშუალებას არ აძლევს, ციხისფერდის კარიერზე თიხა მოიპოვოს. მთისპირელები მოვითხოვთ გადაწყდეს ხიდის საკითხი.



—როდის იყო ხიდი იყიდებოდა. ყველაფერი გაყიდა ბერძნულმა კომპანიამ, მათ შორის ახალი „ბელაზები“ ჯართში ჩააბარეს. ახლა „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ დაცვის სამსახური არ ატარებს ავტომანქანებს ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმებულთა და მუშაობის საშუალებას არ აძლევს —თქვა ომარ მახარაძემ. —თუ საქმეს დასჭირდა, მე თვენს გვერდით ვარ, რა თქმა უნდა კანონის ფარგლებში. ბერძნულმა კომპანიამ მსოფლიო ბაზარს საუკეთესო ხარისხის, უნიკალური ქათული თიხა ჩამოაშორა. ახლა უნდა დაინახონ, რა არის ხალხის ძალა. ჩვენ ყველა მუნიციპალური გზა დავარეგისტრირეთ. მსოფლიო პრაქტიკაში არ მინახავს სახელმწიფო გზაზე კერძო ხიდი არსებობდეს —განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ. კრების შემდეგ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი სოფლის მაჟორიტარ დეპუტატ ლადო ჩაველეშვილსა და ოზურგეთის მერის წარმომადგენელ მაია ჩაველეშვილთან ერთად მდინარე ბახვის წყალზე ხიდზე არსებულ ვითარებას გაეცნო. მდინარე ბახვისწყალზე გამავალ ხიდზე შპს დაცვის სამსახურის „ვიქტორია სექტორს“ ჯიბური დგას, სადაც მერის ავტომანქანას სპორტულ ფორმაში დაცვის სამსახურის თანამშრომელი გადაუდგა. —როგორ მივხვდე, რომ თქვენ დაცვის სამსახურის თანამშრომელი ხართ —მიმართა მას ოზურგეთის მერმა. საგარეოდ დაცვის თანამშრომელი სასწრაფოდ „ვიქტორია სექტორს“ უფროსს გრიგოლ ჭანუყვაძეს დაუკავშირდა, თუმცა შემდეგ მერის მანქანის ხიდზე გადაადგილების გამო პროტესტი არ გამოუთქვამს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
 ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
 რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100


საინფორმაციო სამსახურის
 ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

„სახლი თავზე გვემცოდა, სამუშაო ვერ ვიშოვო“



და წესიერი და პატიოსანი ოჯახი ჰქონდა. ძველი სახლის განახლება ვერ შეძლეს. შემდეგ შვილი ვაჟა დაოჯახდა. მეუღლე მალინა ერთობლივი პედაგოგი იყო, ბიოლოგიას ასწავლიდა სოფელ მთისპირის, ასკანის, ბანის სკოლებში. გაა 6 წლის იყო, დედა რომ გარდაიცვალა...მამამ გაზარდა.

— ვერ აეწყო ცხოვრება. ბავშვობაში ბაბუას ნაქონი თოფის ლულა გამისკდა და მარცხენა ხელზე სამი თითი დაკარგე დიღობას ციხეში მოხვდი. 10 წელი მოეწყდი სამყაროს. 2010 წელს გამოვედი

ციხიდან და დავერწინდი.. ვაჟი და-მელუპა, 2 გოგო გვყავდა. მიმე სოციალური პირობები აუტანელი გახდა სახლი თავზე გვექცეოდა, სამუშაო ვერ ვიშოვე. თურქეთში ვმუშაობდი სეზონურად, დეპორტი მომცეს...მოკლედ, დავშორდი. მეუღლე ბავშვებთან ერთად გორში დაბრუნდა მშობლებთან —მოგვიყვა თავისი ცხოვრების ტრაგედიაზე ვაი მელუამ.

—**მერედა, რითი არსებობ...**
 —სოფელი მშვიდს არ დაგტოვებს. მეც ჩემი თანასოფელების გვერდით ვარ. მაგრამ სიმინდის ფართობის მარგვლაში, ყანის მოტეხვისას ან შემის დაჩეხვაზე რომ მიეხმარები მეზობელს, ფულს მოსთხოვ? სოფელში ნაღზე მეზობლებს ჯერ-ჯერობით ფულს არ ვახდევინებ.

2014 წელს ძველი ფიცრული სახლი დავშალე — შემეშინდა, ქარში ან თოვლში თავზე არ ჩამოქცეოდა. პატარა ფიცრული შევკვდე, სულ 8 კვადრატული მეტრი, თავად ხედავთ, რა მიდგამს შიგ: საწოლი, პატარა ღუმელი. მაგიდის დასადგმელი ადგილი არ არის და საჭმელს საწოლზე ჩამოვდარი ვჭამ. ერთი ნათურა მაქვს, კედელზე რაღაც თარო გავაკეთე და პატარა ტელევიზორი

მიდგას ცოცხალი კაცი მთლად ხომ ვერ მოწყდები სამყაროს —გვითხრა ვაი მელუამ.

—**და მაინც, რითი არსებობ?**
 —ეგ კითხვა სოციალურმა დამისვა. გულწრფელად ვუპასუხე, რომ ხანდახან ქირაზე ვმუშაობ, მიწის ფართობის გაწმენდა-დამუშავებაზე, მაგრამ ასეთი დღეები თვეში 2-3 თუ გამოგვევლება. სოც.აგენტზე არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ შარშან აპრილში 88 800 მოქმედი სარეიტინგო ქულა რაში მივიღე ვერ ვხვდები, როგორ ანგარიშობს ამ ქულებს პროგრამა. მეზობელმა 1978 წელს გამოშვებული ძველი საბჭოთა სარეცხი მანქანა მარუქა. ოთახში ადგილი არ მაქვს და გარეთ მიდგას. ხანდახან დარში სარეცხს ვრეცხავ...ადრე თვეში 2 ლარს ვიხდიდი ელექტროენერჯის გადასახადს, ახლა ხან 3-4 ლარამდე ავიდვარ.

—**მიწის ნაკვეთს რატომ არ ამუშავებ?**
 —8 წლის წინ ბაბუკით შემოვლობე ეზოს წინა მხარე, ახლა ისიც დაზიანებულია. ვიფიქრე, რაიმე სესხს ავიღებ, საკარმიდამოს შემოვლობავ, თხილს გავაშენებ-მეთქი. რომელი ბანკი მომცემდა მე სესხს?
 —**კი, მაგრამ მსჯავრდებულთა**

რესოციალიზმის პროგრამები არსებობს. ოზურგეთში არასამთავრობო მუშაობდნენ ამ თემაზე, ყოფილმა მსჯავრდებულებმა სოციალური საწარმოები გააკეთეს.

—არ ვიცი, არც არავინ დამავშირებია და არც მე მსმენია ამის შესახებ.

—**ადგილობრივი ხელისუფლება არ დაგეხმარა? მაფორიტიანი დეპუტატის ბიუროს არ მიმართეთ?**
 —ტყუილს ვერ ვიტყვი. მაფორიტიანი დეპუტატის ბიუროსათვის არ მიმიმართავს. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიას, 2-ჯერ თუ 3-ჯერ შევიტანე განცხადება ასკანის წარმომადგენლობაში საბინაო პირობების გამო, მაგრამ დღემდე არავინ შემხმინებია ოზურგეთიდან.

გაი მელუა სახლში სოფელ ასკანის მაფორიტიარ დეპუტატ ლევან ნინიძესა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელ გურამ ცქვიტინიძესთან ერთად მოვინახულეთ. ისინი შეწუხებულნი არიან არსებული მდგომარეობით და ამბობენ, ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს.

გაი მელუა მუნიციპალიტეტში მორიგი განცხადების შეტანას აპირებს.

უმხვედრა მეროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაზრდა მრავალდონიან ტერიტორიულ მმართველობაში, სამუშაო შესვედრა გაიმართა.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ვიტოლდ სარტორიუსი, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს ქეთევან მოისწრაფეშვილის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს ირაკლი კუჭავას შეხვდა.

შესვედრაზე განიხილეს პროექტების ეფექტურად წარმართვისთვის, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე საჭირო უნარ-ჩვევების განვითარების პერსპექტივები.

მხარეებმა მიმოიხილეს ის პროექტები და ინიციატივები, რომლებიც ევროკავშირის მიერ არის მხარდაჭერილი. დაიგეგმა სამომავლო ნაბიჯები.

აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური პროექტების თანადაფინანსებისთვის, საქართველო ევროკავშირისგან პირველად იღებს პირდაპირ მხარდაჭერას ოთხ რეგიონში, სადაც ერთ-ერთი გურიაა.

შესვედრას ასევე ესწრებოდნენ პროექტის რეგიონული კოორდინატორი დასავლეთ საქართველოში ნინო ხუხუა, ერთეული კოორდინატორი დავით მელუა, პროექტის ასისტენტი მენეჯერი სოფიკო ექსუელიძე და რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომლები.



ბახმაროს განაშენიანების გეგმა დამტკიცდა



საქართველოს მთავრობამ დამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული დაბა ბახმაროს დასახლებული სკვერების განაშენიანების რეგულირების გეგმა

გეგმა მოიცავს ბახმაროს სარეკრეაციო არეალში მდებარე 13 805 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოპირკეთების, ტროტუარის და ნარგავების, ბორღიურების, ტერიტორიის მწვანე საფარის, დეკორატიული ღობის მოწყობის და გამწვანების სამუშაოებს. სკვერში განთავსდება სკამები, დამონტაჟდება გარე განათება, ფანჯარული და

გაკეთდება ბავშვთა სათამაშო სივრცეები. მოწესრიგდება საინჟინრო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

საპროექტო ტერიტორიის საპარკე ფუნქციით განვითარება უკვე დაწყებულია, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში კი, იგეგმება სკვერის გაფართოება

დაბა ბახმაროს განახლებული სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა 2017 წელს დამტკიცდა. მიწათსარგებლობის და განაშენიანების რეგულირების გეგმა ხელს შეუწყობს დაბის სწორ განვითარებას და დაცავს კურორტს ქალტური განაშენიანებისაგან

ქვედა ბახვში ყოფილი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია იწყება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე შარაშენიძის გადაწყვეტილებით სოფელ ქვედა ბახვში, ყოფილი საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია იგეგმება.

ამორტიზებული შენობა მერმა დღეს სოფლის წარმომადგენელთან, ირაკლი ცქვიტინიძესთან და საპროექტო სამსახურის თანამშრომლებთან

ერთად ადგილზე მოინახულა. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ დაიწყება შენობის სრული რეკონსტრუქცია, სადაც იფუნქციონირებს სხვადასხვა სახელოვნებო წრეები სოფელში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის.



რა პრობლემები აწუხებს მთის სოფლებს და რისი მოგვარება იბეძევა წელს

ალიონი. ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე გასულ კვირაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფლების - ასკანის, მზიანისა და მთისპირის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივებმა მუნიციპალი-

უმუშევრობა. —სოფელში ახალგაზრდა ადარ დარჩა, ყველა უცხოეთში გარბის. გუშინ ავერ ორი ახალგაზრდა შოთიკო და ნოდარ მგელაძეები წავიდნენ ესპანეთში. მშობლები იქ არიან და



ტეტის მერთან ერთად, 2020 წელს განსახორციელებელ პროექტებზე იმსჯელეს და გადაწყვეტილებები მიიღეს. სოფელ ასკანის თემს ამ პროგრამით 80, ხოლო მთისპირელებს 92 ათასი ლარი აქვთ გამოყოფილი. დავიწყეთ იმით, რომ წელს 2

ფაქტურად დაიკეტა ოჯახი. ასეთი დაკეტილი ოჯახი ასკანა-მზიანში 110-ზე მეტია. კარგია გზას რომ აკეთებენ, მაგრამ იგი სოფლის ცენტრამდე მოდის მხოლოდ და სადაც მჭიდრო დასახლებაა წყდება — გულისტყვილით აღნიშნეს მზიანელებმა შეხვედრაზე.



მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება იგეგმება ამ სოფლებში: დაბალი ეწერი-მზიანის 2,5 კილომეტრის და ასკანა-მთისპირის დამაკავშირებელი 1,5 კილომეტრი გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვანი იქნება როგორც მიგრაციის შეჩერების, ასევე ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. წელს დასრულდება „შატო გურიას“ მშენებლობა, რომელიც კომპანია „კახური ტრადიციული მელქინობა“ ეკუთვნის და ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მთის სოფლების მოსახლეობას, საშუალება ექნება აქ ჩააბაროს ყურძენი და ხილი. გარდა ამისა, აქ ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება და ტურისტების ნაკადსაც ელოდებიან.

—კიდევ ერთხელ შეგახსენებთ გურიის გუბერნატორს ზურაბ ნასარაიას და საქართველოს პარლამენტს, დაუბრუნონ მთისპირ-ასკანას მაღალმთიანი სოფლის სტატუსი —აღნიშნა სოფელ მთისპირში კრებაზე შორენა ინჭორველიძე.

სამივე სოფელში საუბრო გზების პრობლემა იყო გამოსვლელთა უმეტესობის თემა. მთიანეთის სოფლის ყველა უბანში (ვანისქედი, ოქროსქედი, უკანაა, მთისპირი) კვლავ ბეტონის გზების დაგებას ითხოვდნენ; ასკანელები სვანეთისა და შევარდნაძეების მზიანელები ომიამებისა და გედევან ჟღერტის უბნებში ასევე გზების დაგებას.

გასულ წელს, მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენებმა, მზიანელმა ძმებმა გიორგი და ტარიელ მჭავანაძეებმა საკუთარი



სახსრებით მზიანი-ქვენობის სახლვარზე, მდინარე ყურფაზე რკინა-ბეტონის კაპიტალური ხიდი ააგეს და ასკანა-მზიანის მოსახლეობას საშუალება აქვთ უმოკლესი გზით დაუკავშირდნენ დაბა ჩოხატაურს. სოფელ ასკანის მაჟორიტარი დეპუტატის **ლევან ნინიძის** თხოვნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ადგილზე მინიხულა ახალი ხიდი და აქაურებს შეჰპირდა გზის 200-მეტრიანი აღმართის ბეტონის საფარის დასხმას მუნიციპალიტეტის სახსრებით

სამომავლოთ კიდევ ერთი პროექტი —მზიანი-ბასილეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია იგეგმება, საიდანაც უმოკლესი გზა იქნება ხიდისთავი-ბახმაროს მიმართულებით.

მზიანელები წუხდნენ, რომ გზის კომპანიამ ბუნებრივი აირის მილების გაყვანისას მნიშვნელოვნად დააზიანა მთისპირა-ასკანა-მზიანის წყლის მაგისტრალის ცალკეული უბნები.

სოფელ ასკანაში ყველაზე მწვავედ სოფლის ამბულატორიის თემა დადგა.

—საქციმო უბანი მძიმე მდგომარეობაშია. ეს შენობა 1960 წელს აიგო, 60 წლის წინ ჩადგმული ხის ფანჯრებია, ზამთარში მუშაობა აქ ზალიან რთულია —აღნიშნა სოფლის ამბულატორიის გამგე **მაყვალა ნინიძე**. დახმარება ითხოვა საბავშვო ბაღმაც.

სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის დირექტორი **ნანა ჭყეშვილი** უკანაველ ჯეშელ მარკოიძეს შეეკამათა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უკანააში კაპიტალური ფეხბურთის მოედნის მოწყობა მოითხოვა.

—სკოლას აქვს სტადიონი, სადაც ტურნირები ტარდება, უკანაელები აქ ამოდან და თამაშობენ ფეხბურთს. ამ უბნიდან სულ 14 ბავშვი დადის სკოლაში. თქვენ, ბატონო ჯეშელ, შვილიშვილები ბათუმში შეიყვანეთ სკოლაში. ავობებს, სკოლის სტადიონი შემოვლობოთ —აღნიშნა ჭყეშვილიძე.

სასოფლო კულტურის სახლის დირექტორმა **მაყვალა ასათიანმა** მათი შენობის ავარიულ მდგომარეობაზე ისაუბრა და დახმარება ითხოვა, ხოლო საბავშვო ბაღის პედაგოგმა **სათუნა ნემსაძემ**, ფართის სიმცირის გამო, — საბავშვო ბაღის სოფლის ამბულატორიაში გადმოყვანა.

—მე ჩემს შვილს არ მივიყვან მაგ ბაღში, მიუხედავად იმისა, რომ კარგი იქ კვებაა. ბაღი სტანდარტებს არ შეესაბამება —თქვა მთისპირელმა **მაკა ჩაგლეშვილმა**.

—ეს ბაღი ე.წ. „პასილიკაზე“ იყო, სადაც საკმარისი ფართობი ჰქონდათ. შემდეგ ბაღის პედაგოგების დაფინანსებული მოთხოვნით, სოფლის ცენტრში საექიმო ამბულატორიის შენობაში გადმოვიდნენ, ახლა სოფლის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე კვლავ სოფლის ამბულატორიის ფართში ითხოვენ გადმოხვლას. ძალიან ნესტია იქ. უმჯობესია, მომავალში ახალი ბავა-ბაღის სტანდარტული შენობის აგებაზე იფიქრონ. —გვითხრა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

საბოლოოდ, ასკანაში ამბულატორიის რეაბილიტაცია და აცენტრის გამწვანება-კეთილმოწყობა დაიგეგმა, მზიანში — შიდა გზების რეაბილიტაცია, ხოლო მთისპირში შიდა გზებისა და მოსაცდელეების მოწყობა.

როგორც კონსტანტინე შარაშენიძემ აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი სახსრებით ასკანისა და მზიანის საბავშვო ბაღებში სარეაბილიტაციო სამუშაოებს განახორციელებს.

შეხვედრები სოფელ ოზურგეთისა და ბაილეთში



ალიონი. ოზურგეთის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბაილეთისა და სოფელ ოზურგეთის ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივებმა მუნიციპალიტეტის მერთან ერთად, 2020 წელს განსახორციელებელ პროექტებზე იმსჯელეს და გადაწყვეტილება მიიღეს.

სოფელ ბაილეთში ბევრ თემაზე იმსჯელეს. კრიტიკული იყო პავლე ზოიძის და ავთო პაპავას გამოხვლები: ისინი ჭანეთურის უბანში ასფალტის საფარის დაგებას ითხოვდნენ.

— რაც გაკეთდა, კარგია, მაგრამ სოფელი გაუნათებელია, სანიაღვრე არხები არ ვარა, წვიმაში მოსაცდელში ვერ გაჩერდება — თქვა ავთო პაპავამ.

— შარშან 6 კილომეტრი გზა გავაკეთეთ ბაილეთსა და ახალ-სოფელში. სხვა სოფლებიც გვაქვს. წელს ჭანეთურის მიმართულებით

სანიაღვრე არხებს გავაკეთებთ, მილზიდებს ჩავდებთ. ჯუმათში არის ყელას მიწა, რომელსაც სათანადო ტექნოლოგიის დაცვით კარგი შედეგი აქვს. წელს ასფალტს ვერ შეგპირდებით —უპასუხა მერმა **კოტე შარაშენიძემ**.

— იქნებ სოფელში სპორტული დარბაზი გაკეთდეს, სპორტულ სექციებში ქალაქში დადიან ბავშვები —ითხოვა გივი ბლაგიძემ.

საბოლოოდ სოფელ ბაილეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და ბაილეთი-ახალსოფლის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა დაიგეგმა. სოფელ ოზურგეთში კი მოსახლეობა საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობაზე, ჭაბურღილის მოწყობასა და მეთორმეტე ქუჩაზე მგზავრთა მოსაცდელის გაკეთებაზე შეთანხმდა. ასევე, დაიგეგმა რაჭველების უბანში სკვერის რეაბილიტაცია.

ოზურგეთის მერი ორთავე სოფლის მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემების მოგვარებასაც შეჰპირდა.



სოფელ შრომაში ციტრუსის გასხვლის საჩვენებელი ღონისძიება მოეწყო



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის განყოფილება აგრძელებს მოქალაქეთა კერძო მფლობელობაში არსებულ ფართობებში სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობასა და ფერმერთა ინფორმირებას.

ამჯერად აღნიშნული განყოფილების უფროსმა **ამირან გირკელიძემ** და სპეციალისტმა **აკაკი ღლონტმა** სოფელ შრომის სადემონსტრაციო ნაკვეთში ფერმერებს ციტრუსის

გასხვლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

სოფლის მეურნეობის განყოფილების ინციატივით, ციტრუსის მოვლითი ღონისძიების აგროტექნიკიდან ფერმერები ასევე სხვა საჭირო აგროტექნიკურ ღონისძიებებს დაესწრებიან, როგორცაა ნიადაგის განოყიერება, ზედმეტი მჟავიანობის განიტვრალება და წამლობითი ღონისძიებები.

ჩარჩოებში ჩაუსმელი პორტრეტები

პასტანგ ჩხიკვიშვილი და ენვერ გოგუაძე – სახელდებული სამართალდამცავები, რომელთა მოღვაწეობის დროს ოფიციალური რაიონი მთელ საქართველოში ფუნქციონირებდა

„ალიონს“ ყველაზე მეტი სტუმარი ორშაბათობით კვამს, როცა გაზეთის ახალი ნომერი ჩამოდის თბილისიდან. არის ისეთი მკითხველიც, ვისთვისაც, გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ ანდლუაძე, რომელიც პარასკევობით შემოგვივლის სოფელ და წინა წლების კომპლექტებში იმეხება. გამონაკლისი არც გასული კვირის პარასკევი გახლდათ. ზურაბმა მაგიდაზე ამ წერილის გვირგვინს პასტანგ ჩხიკვიშვილისა და ენვერ გოგუაძის დასახსნავად გამოაღებულ პორტრეტები შენიშნა და ჩვეული სიძინჯით თქვა: „ოო, დიდებული ხალხი! თუ გახსენებთ აკეთებთ, შავი არხია არ შემოავლოთ, მსენი შავ ჩარჩოში ჩასახსნავი ხალხი არაა, არც გაჩერდებიან შიგ. თუ იყო, ამათ დროს იყო ოფიციალური სივრცე და გვირგვინი.“

როცა გაიგო, რომ წერილს ვაძვალავდით, მოგვიწონა, კარგ საქმეს აკეთებთო. საბაზეთო მასალაში გამოყვამულ სურათებზე გამოსახულ პიროვნებათა გვარებს შემნებულად არ ვახსენებთ, რადგან დარწმუნებული ვართ ძირითადი ოფიციალური მათი უკლებლივ ამოცნობა.

„მისი დროინდელი მილიცია მაინც სულ სხვა იყო“

ბატონი ვახტანგ ჩხიკვიშვილის ცხოვრება იშვიათი მაგალითია იმისა, როგორ შეძლო გაჭირებული ოჯახის შვილმა კომუნისტურ ეპოქაში ოფიციალური თაღისით გაეკაფა გზა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის ხელმძღვანელი გამხდარიყო.

1961-1969 წლებში ვახტანგ ჩხიკვიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განყოფილებას ხელმძღვანელობდა. იმ თაობის ოფიციალურებიდან გამიგონია, რომ ვახტანგ ჩხიკვიშვილის დროინდელი მილიცია მაინც სულ სხვა იყო. მათი შვილებიც იმეორებენ ამ სიტყვებს, უფროსების ნაამბობით იციან. დღესაც ახსოვთ ეს კაცი, უყვართ და აფასებენ მას.

ვახტანგ ჩხიკვიშვილმა იმ დროში შეუძლებელი შეძლო – ადამიანური ურთიერთობები და მილიციის ძალადგონი მეთოდები ისე შეუთავსა ერთმანეთს, ისე დააბალანსა, რომ ოფიციალური მილიციაში უფროსად მუშაობის პერიოდში საზოგადოების არც ერთ ფენაში არ გაღიზიანდებოდა. რა თქმა უნდა, იყვნენ უკმაყოფილოებიც, მაგრამ საერთო ფონი კეთილგანწყობით იყო გამოჩენილი.

ოფიციალურებს ახსოვთ, როგორ აფრთხილებდა კრიმინალებს თუ მოკრიმინალო ელემენტებს: აქ არ შეჩერდეთ, სწრაფად გაიარეთ, ოფიციალური ტერიტორიაა და უკან არ მოიხედოთ, აქ ფეხს ვერ მოიკიდებთ, ამის საშუალებას არ მოგცემთ. ამიტომ იყო, რომ



ბატონი ვახტანგის სახასიათო შტრიხების გაცნობამდე, მოდით, ერთად გადავხედოთ მის ბიოგრაფიას:

დაიბადა 1925 წლის 28 მაისს, მახარაძეში (ახლანდელ ოფიციალურში). მახარაძის საშუალო სკოლა 1941 წელს დაამთავრა და ჩაირიცხა თბილისის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში. 1943 წელს, მესამე კურსის სტუდენტი, მონაწილედა წაიდა წითელ არმიაში, სადაც ლეგენდარული მე-18 არმიის გენერალ მიქელაძის პოლკის ერთ-ერთ დანაყოფში აღმოჩნდა. სარდლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი სასწავლებლად გაგზავნა და იგი მაჰაჩკალის სამხედრო სასწავლებელში მიაგზავნა, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ოფიცერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჯარისო ფორმირებებში სამეთაურო თანამდებობაზე ნიშნავენ. ამ ფორმირებებს ომის პერიოდში განსაკუთრებული ოპერაციების ჩატარება ევალებოდა.



ისეთი პროფესიონალი, როგორც ბატონი ენვერ გოგუაძე გახლდათ, ყველა დროში და ყველა დარგში იშვიათი იყო. მეტადე ისეთი სპეციფიკური, როგორც სამართალდამცავი. ქართულ პროკურატურაში ერთ-ერთ გამოჩენილ სპეციალისტს ავტორიტეტი და აღიარება არა მხოლოდ მაღალმა პროფესიონალიზმმა მისცა, არამედ გამოჩენილმა პიროვნულმა თვისებებმაც მოუტანა.

ერთია, რომ ბატონმა ენვერ გოგუაძემ, როგორც პროკურორმა, თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით წარუშვლი კვალი დატოვა ქართულ პროკურატურაში და მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მან, როგორც აღმზრდელმა, ისეთი კადრები მოუწადა სამართალდამცავ სტრუქტურებს, რომელთა გარეშე მართლწესრიგის თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანაში დღეს სასურველი შედეგისგან ძალიან შორს ვიჭებოდით.

მივცვთ სტრუქტურულად და სანამ საგანგებო მასალაში ამ ძვირფასი პიროვნების პორტრეტის სრულყოფისათვის მის ყოფილ თანამშრომლებსა და აღზრდილ კოლეგებს ჩავრთავდით, ერთად გადავხედოთ ბატონი ენვერ გოგუაძის მოკლე შედეგად, მაგრამ

„უმაჯობესი – სამსახურში, უპეტილუობილესი – სამსახურს გარეთ“

1951-დან 1957 წლამდე მუშაობდა მახარაძის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ. 1957 წელს დაინიშნა მახარაძის რაიონის პროკურორად და ამ პოსტზე მუშაობდა 9 წლის განმავლობაში. 1976 წლიდან გადაიყვანეს რესპუბლიკის პროკურატურის საგანგებო სამართლებლო პროკურორად – ზონის უფროსად, მოგვიანებით კი – ამავე სამართლებლო უფროს პროკურორად. პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ (1986 წელი) არ შეუწყვეტია აქტიური პროფესიული საქმიანობა. თბილისის სხვადასხვა რაიონის პროკურატურაში ნაყოფიერად მუშაობდა პროკურორის მრჩეველად. სიცოცხლის ბოლო წლებში დაარსა საჯაროკატო ფორმა და იყო ამ ფორმის დირექტორი.

ენვერ გოგუაძე გარდაიცვალა 2006 წლის 23 სექტემბერს. დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

საქართველოს მთავრობამ და მშობლიურმა ხალხმა დიდად შეაფასა ამ დიდადი კაცის დამსახურება ქვეყნის წინაშე. ბატონი ენვერ გოგუაძე დაჯილდოებული იყო სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით.

1968 წელს, პროფესიულ საქმიანობაში განსაკუთრებული წარმატებისთვის, მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ოფიცის წოდება. ფასიანი საჩუქარი (ოქროს მაჯის საათი) პირადად გადასცა მამინდელმა საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა ვლადიმერ რუდენკომ. საწესწაროდ, სამოქალაქო დაპირისპირების პერიოდში, თბილისში ოჯახიდან ეს ნივთები მოიპარეს.



პრაქტიკულად წელიწადში მხოლოდ აქა-იქ, ერთი-ორჯერ თუ მოხდებოდა ყაჩაღობის, მარცხისა და ქურდობის შემთხვევები.

ცნობილია, რომ განსაკუთრებით აფასებდა მას ელდურდ შევარდნაძე, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი. ოფიციალური მილიციის უფროსად მუშაობის ცხრა წლის თავზე სწორედ მან გადაიყვანა ვახტანგ ჩხიკვიშვილი თბილისში, ცენტრალურ აპარატში ჯერ სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი – სამმართველოს უფროსად.





ბევრის მოქმედ ბიოგრაფიას:

ენვერ გოგუაძე 1920 წლის 29 აპრილს დაიბადა მახარაძის რაიონის სოფელ ძიბოში. ნაადრევად დაეუბა მშობლები და 10 წლის ასაკში ობოლი დარჩა. სოფელ მამათის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1938 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ორიდულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1942 წელს. იმავე წელს დაინიშნა მახარაძის რაიონის პროკურატურაში გამოძიებლად, ახალგაზრდა პერსპექტიული სპეციალისტი მალევე დაწინაურეს და გადაიყვანეს პროკურორის მოადგილედ.

გარო სურბულაძე, აჭარის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე: „გასული საუკუნის 60-80-იან წლებში, მაშინდელი მახარაძის, აჭარად ოფიციალური სამართალდამცავ ორგანოს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხელმძღვანელობდნენ უადრესად ავტორიტეტული და სახელგანთი ოფიცისტი: ქალბატონი ნინო გობრიანიძე, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი ვახტანგ ჩხიკვიშვილი, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი, ბატონი ენვერ გოგუაძე რაიონის პროკურორი.“

ბატონ ენვერ გოგუაძეს, შემდეგ



ჩარჩოვები ჩაუსმელი პორტრეტები

ვახტანგ ჩხიკვიშვილი და ენვერ გოგუაძე – სახელმწიფო სამართალდამცავები, რომელთა მოღვაწეობის დროს ოზურგეთის რაიონი მთელ საქართველოში წმინდით გამოჩენილი იყო მისი დროინდელი მილიცია მაინც სულ სხვა იყო

„შეპასუროსი – სამსახურში, უპეტილუოებილესი – სამსახურს გარეშე“



მოსკოვი, 1979 წ. თანხის ფინალური მატჩის შემდეგ.

„დინამოსთან“ სიხლბორცეულად იყო დაკავშირებული. პენსიაში გასვლის შემდეგ იყო „დინამოს“ ცენტრალური სტადიონის დირექტორის მოადგილე. ნოდარ ახალკაცი და ის დიდი მეგობრები იყვნენ.

პატიოსან ადამიანებს თავგამოდებით იცავდა, ამისთვის სამსახურის წესების დარღვევა რომ დასჯიდა მინც. საზოგადოებრივი წესების დამრღვევებისადმი მის მიერ გამოტანილ ვერდიქტს უპირობოდ ემორჩილებოდნენ, რადგან სამართლიანი იყო ყოველთვის.

საოცარი ალლო ჰქონდა ადამიანის გამოცნობის, ერთი შეხედვა, ერთხელ გამოლაპარაკება კი საკმარისი იყო დაესვა დიაგნოზი – ვარგოდა თუ არა, სანდო იყო თუ არა, პრაქტიკულად არასოდეს შემცდარა, მისეული შეფასება ყოველთვის მართლებოდა.

61 წლის ჩხიკვიშვილი, ბატონი ვახტანგის ქალიშვილი: „ერთ შემთხვევას მოვიყვებით. ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც დღე-ღამე უნდა გათხოვილიყო. ამ დროს ფაბრიკაში სეფიდან იკარგება მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასად გასაცემი ფული. დაუფიქრებელი იწყება გამოძიება. ეს ქალი იმ დღეს ყველაზე გვიან გამოსულა ფაბრიკიდან. გამოძიებას ეჭვი უჩნდება, რომ სწორედ ივია ამ ყაჩაღობასთან დაკავშირებული. ამ საქმის გამოძიებას, მამა, როგორც მილიციის უფროსი, ხელმძღვანელობდა. იგი თავიდანვე ამბობდა, რომ ეს ქალი დამნაშავე არ იყო, იმდენად დარწმუნებული იყო მის უდანაშაულობაში. ნათესავებს ამ ქალის ნახვის უფლებას აძლევდა, საკუთარი ოჯახიდან მისთვის საუბრეც კი მიჰქონდა. ამბობდა, რომ გამოძიებულ იყო ასეთი ქურდობა ჩაედინა ქალს, რომელიც გათხოვებას აპირებდა. არადა, სხვა ეჭვმიტანილი გამოძიებას არ ჰყვება. გამოძიების რომელიც ეტაპზე გაირკვა, რომ ფაბრიკიდან არც თუ დიდი ხნის წინათ წასული იყო ერთი მუშა, ეროვნებით რუსი, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა ტექნიკის საშუალებებს. მამამ მასზე აიღო ეჭვი და რუსეთში მიაგზავნა თავისი მოადგილე ამ კაცის დასაპატიმრებლად. ნათესავებთან, სადაც სოფელში მიაკვლიეს, ეჭვმიტანილი დააკავეს და სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო. იმ ბედნიერმა ქალმა კი ქორწილი გადაიხადა.“

გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, როგორც ახლა ამბობენ, კარგი მენეჯერი იყო. სხვაზე მეტი სარგებლობის უფლებაზე მის დიდ ოჯახს ვეღო ჰქონდა დადებული.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ჩხიკვიშვილი იყო განსაკუთრებული პიროვნება, საოცრად კეთილი, ყურადღებიანი, ზედმიწევნით ორგანიზებული, კვალიფიციური, ოპერატიული და სამეურნეო მუშაკი, ყველას ჭირისა და ღვინის გამზარებელი, მხარში მდგომი, შესაშური ვაჟკაციური შემართების, ხელმძღვანელობასთან და ხელქვეითებთან თავმდაბალი.

კოლეგების თქმით და აღიარებით, იგი იყო ერთ-ერთი წარმატებული ოპერატიული და სამეურნეო მუშაკი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში.

ვახტანგ ჩხიკვიშვილი გარდაიცვალა 1999 წლის 27 ივლისს, დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.



სამართალდამცვე ორგანოებში, სახელმწიფო სახელმწიფო სტრუქტურებსა თუ რაიონის საზოგადოებაში იცნობდნენ, როგორც განსწავლულ, ერთგულ, პრინციპულ, ჰუმანურ და მოუკრიბებელ ოფიცერს. მიუღო რესპუბლიკასა და ოზურგეთის რაიონში მან სამართლიანად დაიმკვიდრა სახელმწიფო იურისტის სახელი. მისთვის უცხო იყო გადაჭარბებული სიმკაცრე ან ღმობიერება. მასში შერწყმული იყო პროფესიული ოსტატობით ზომიერება, თქმვა, დამნაშავეთა სამართლიანად და ზომიერი სიმკაცრით შეახსენებდა, რომ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა არ აცდებოდა.

ბუნებისგან მომადლებული ჰქონდა მაღალი ადამიანური თვისებები, იყო უანგარო, პრინციპული და კაცობიერად, პიროვნებათა შეფასებაში – ობიექტური და სამართლიანი. ყოველთვის პატივსცემდა და მოკრძალებით ეგებოდა როგორც თანატოლ, ასევე რანგით უმცროს კოლეგებს; ამ უკანასკნელთა, თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში ყოველთვის ქმედით დახმარებას უწყვედა.

რაიონის პროკურატურაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ოზურგეთში არაერთი კვალიფიციური და სახელმწიფო იურისტი აღიზარდა, რომლებმაც თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ატყუარა ყველა ჩამოივლია შეუძლებელია, თუმცა უნდა მოვიხსენიო აწ გარდაცვლილები: ოურისტი, სამართალმცოდნე ბატონი იური სიორიძე, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გმირულად დაიღუპა; ქალბატონი ველიკო ხინთიბიძე – ჯერ რაიონის პროკურორის თანამშრომელი გახლდათ, შემდეგ – სახალხო სახალხო მოსამართლე; უარესად განსწავლული, ღრმად განათლებული, ერთგული, დიდი ოურისტი და ბუნებით მომადლებული კეთილშობილებით დაჯილდოებული პიროვნება.

რაიონი გობრონიში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე: „ოზურგეთის პროკურატურაში 1971 წლის დეკემბერში მუშაობა სტაჟირ-გამომხდელად, ბატონი ქვერი მამის პროკურორი იყო. სამი წელი ვიმუშავე ამ საოცარ კაცთან. უმკაცრესი იყო თანამშრომლებთან სამსახურში და უკეთილშობილესი – როცა გარეთ გადიდით. გასაკაცსავი თუ იყავი, გაგაკაცსავდა, დასაკაცი თუ იყავი, კბილებით დაგაკაცსავდა. ის არ გახლდათ მხოლოდ ცივი გონებით მომუშავე პროკურორი, იყო ნამდვილი ადამიანი და მეგობარი. ერთ ასეთ შემთხვევას გავიხსენებ: თანამშრომელს დედა გარდაეცვალა და დაკრძალვაზე მანქანით წვედით ბათუმში. ბატონი ქვერის თანამშრომელი ვისზეც იმ დროს ქვერი რადაცაზე განაწევნებული იყო, უკან სავარძელზე მთავდა სხვა თანამშრომლებთან ერთად, მე კი წინ დავჯექი. როცა ბათუმთან დავბრუნდით, მისმა და მისმა, ვინ გასწავლა ვე? წინ თანამშრომელი უნდა დავსვა, მენ კი უკან უნდა მთავსებულყავი, თუ ის წინ არ ჯდებოდა, მაშინ ორივე უკან უნდა დამსდარიყავითო. უკვე გითხარით, რომ საოცარი კაცი იყო, ისეთნაირად გეტყვოდა, მერე აღარც გეწყინდა მისი შენიშვნა.

ერთსავე გეტყვით: შაბათი დღეა გვიხარა, დღეს 12 საათზე ვიმუშაოთ. მერე ანასეულში წავიყვანა რესტორანში. საქონლის ბეჭი მოატანა მოხარული და გვეთხა, აა, რომელმა იცით ბეჭის დაჭრა? აღმოჩნდა, რომ არც ერთმა ვიცოდით. ადგა, დანა

მოიმარჯვა და ბეჭი ზოლებად ღრმად დასერა, თითოეულ დანასერში ტყეშის საწებელი ჩასხა, მოგებრუნდა და გვიხარა, აა, ასე უნდა ბეჭს დაჭრა. პროფესიონალიზმს და შრომას აფასებდა. გარკვეულწილად მისი დამსახურებაა, რომ მასთან სამსახური მუშაობის შემდეგ, რესპუბლიკის პროკურატურის უდიდეს საქმეთა გამოძიებლის პოსტზე აღმოჩნდი, ხოლო შემდეგ, მისივე რეკომენდაციით, შეხიფანეს ოზურგეთის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატა სიაში და 32 წლის ასაკში სასამართლოს თავმჯდომარე გავხდი.

ვიცი, ბატონ ვახტანგ ჩხიკვიშვილზეც ამხადებთ მასალას. ძალიან დიდი პროფესიონალი და ძლიერი პიროვნება გახლდათ. ერთხელ ლისურში მალაჩა გაქურდეს. ჩავიდნენ შემთხვევის ადგილზე. ქურდს ქუდი დარჩენდა. მოიტანეს ეს ქუდი, ბატონმა ვახტანგმა ქუდი შეათვალიერა, გაიღმა და თქვა იმ კაცის გვარი, ვისაც ის ქუდი იყო. წარმოუდგინეთ ხალხის გაოცება – ქუდის შეთვალიერებით ამოიცნო დამნაშავე.

მამია გოგუაძე, ქვერი გოგუაძის ვაჟი: „უპირველესად, მაღლობა ამ თემის ორიგინალურად გადაწყვეტილებისთვის, ერთ გვერდზე, ერთ სივრცეში რომ მათავსეთ წერილები ვახტანგ ჩხიკვიშვილსა და მამაჩემზე. სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა. მათ მეგობრობას ხომ ანალოგი ძნელად მოუხებნა. იმ პერიოდში ოზურგეთი რომ ერთ-ერთი მშვენიერი რაიონი იყო, უპირველესად, მათი პროფესიონალიზმისა და მეგობრობის შედეგად.“

1967 წელს სოფელ ნაგომარში მკვლელობა მოხდა. იმ პერიოდისთვის ეს იყო ერთადერთი მკვლელობა რაიონში. სწორედ ამ მკვლელობის უსწრაფესად განსწავლა და კარგი შედეგებისთვის მიენიჭა მამაჩემს 1968 წელს საქართველოს დამსახურებული იურისტის წოდება, ხოლო ვახტანგი ბიძა (ცხოვრების ბოლომდე ასე ვუძახდი) დაჯილდოვდა მთავრობის შესაბამისი ჯილდოთი და მალე გადაიყვანეს თბილისში შს სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე.

მამამდე მე შემდეგაც სხვა არაერთი საქმეც გაუხსნიათ მათ ერთობლივად. რამდენი წელი გავიდა მას შემდეგ მერამ ერთ-ერთი განსაკუთრებით დამამსხოვრდა, ცოტა უცნაური იყო და ალბათ იმიტომ. ოზურგეთთან ახლომდებარე ერთ-ერთ სოფელში საღარო გატეხეს და ფული გაიტანეს. დაიჭრეს საღაროში მომუშავე გოგონა, რომელსაც საღაროს გასაღები მან დაჰქონდა. პოლიციაში გოგონას შეგვარებული მივიდა და თქვა, რომ გოგონა არაფერ შეაუბნა, საღარო მე გავხსენი და ფული მე გავიტანე. მამაჩემი და ვახტანგი ბიძა შეეცდებოდნენ და ბიჭისთვის უთქვამთ, არ დაგიჭერთ თუ დაგვიმტკიცებ, რომ გასაღების ასე მორგება შეგიძლიათ. ორივე გაცილებული დარჩენილა, როცა რამდენიმე შეთავაზებული გასაღებებიდან ბიჭს მამაჩემის კაბინეტის კარის გაუხსნა. ბიჭისთვის მიცემული პირობა არ დაურღვევიათ და თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, მისთვის მხოლოდ პირობითი სასჯელი მოუციათ.

ბიძის მოვიხდი ყველასთან, მერამ თამამდ შემიძლია ვთქვა, ამ ტანების დარი ოზურგეთის არასდროს ჰყოლია. წარმოიდგინეთ მათ რომ მუშაობის დღეებდელი შესაძლებლობები და პირობები ჰქონდათ...

ბატონი ვახტანგ ჩხიკვიშვილის მოღვაწეობის და პიროვნული თვისებების შესახებ მასალები უფრო პრცლად შეგიძლიათ იხილოთ თავისი ვაჟის, თამაზ ჩხიკვიშვილის წიგნში „ვახტანგ ჩხიკვიშვილი“, რომელიც ავტორმა უარუარწინ გამოცა.

